ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10/ბ

თბილისი „ 11" „01 " 2013 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით, და, მეორეს მხრივ, შპს „მაკალე" (შემდგომში „მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად კაპანაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1–ით გათვალისწინებული „შემსყიდველის" სტრუქტურული ერთეულების - ტრეფიკინგის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების ( შემდგომში - თავშესაფრები) და შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულების (შემდგომში - ფილიალები) საჭიროებისათვის საკვები პროდუქტების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება 15100000 – ცხოველური პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, 15500000-რძის პროდუქტები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 21536.19 (ოცდაერთი ათას ხუთასოცდათექვსმეტი ლარი და 19 თეთრი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქონლის მიწოდების ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მიმწოდებლის ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. საქონლის მიწოდების ადგილი, ტექნიკური პირობები, რაოდენობა, ერთეულის და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების დანართი #1–ით განსაზღვრული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, დანართი N1–ით გათვალისწინებულ მისამართებზე.

4.2 საქონლის მიწოდების მოთხოვნას შესაბამისი საქონლის სახეობის, რაოდენობისა და მიწოდების თარიღის მითითებით ადგენს და წერილობით უგზავნის/გადასცემს მიმწოდებელს შემსყიდველის შესაბამისი თავშესაფრის/ფილიალის ხელმძღვანელი, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება.

4.3. საქონლის ტრანსპორტირებას მიწოდების ადგილამდე უზრუნველყოფს „მიმწოდებელი" საკუთარი ხარჯით.

4.4 საქონლის ხორცის ყოველ ჯერზე მიწოდებისას დასაშვებია ცდომილება 1000 გრამის ფარგლებში მეტობით ან ნაკლებობით.

4.5. ქათმის ხორცის ყოველ ჯერზე მიწოდებისას დასაშვებია ცდომილება 500 გრამის ფარგლებში მეტობით ან ნაკლებობით.

4.6. საქონელი უნდა იყოს ახალი, ხარისხიანი და უნდა შეესაბამებოდეს დანართი #1–ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.
5.2. საქონლის მიღებისას წინამდებარე ხელშეკრულების 15.3 პუნქტით შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 პუნქტის 15.2.1 და 15.2.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
5.3. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონლის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 15.3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილი პირი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონლის ან მისი ნაწილის ხარისხი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.
5.4 იმ შემთხვევაში თუ 5.3. პუნქტის საფუძველზე არ მოხდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 2 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი ხარისხის საქონელი, ხოლო აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, მიმწოდებელს დაეკისრება პიგასამტეხლო 13.1 პუნქტის შესაბამისად.
5.5 მიმწოდებელმა, მიწოდების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, შემსყიდველს წერილობით უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას ხელშეკრულების 15.3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი შუალედური ინსპექტირების დასკვნები, ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების მოთხოვნები, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
5.6. ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“.
5.7. ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების 15.3 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილი პირი, რომელიც წერილობითი მომართვის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებას, ადგენს საბოლოო ინსპექტირების დასკვნას და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში ახორციელებს მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, ხოლო ხარვეზის არსებობის შემთხვევაში საბოლოო ინსპექტირების დასკვნისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელდება ხარვეზის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორების პირობები
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.7. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები:
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს “შემსყიდველი” არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. მიმწოდებლის მხრიდან საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მიუწოდებლობის ან არაჯეროვანი მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4. პუნქტის საფუძველზე დაკისრებული 13.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ათვლა დაიწყება 5.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.

13.3. შემსყიდველს ხელშეკრულების 6.3 პუნქტში მითითებული ანგარისწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

15.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.2.1. საქონლის მიწოდების ვადების და მიწოდებული საქონლის რაოდენობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2. მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართ №1-თან შესაბამისობის დადგენა, შუალედური ინსპექტირების დასკვნის მომზადება და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე საბოლოო კონტროლის განხორციელება, საბოლოო ინსპექტირების დასკვნის მომზადება, მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
15.2.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
15.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ შემსყიდველის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 29 მარტის ჩათვლით.

## 17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, სამი - შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა № 200122900
ს/კ № 205169592

მარინა მესხი
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „მაკალე“
ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. #35 ბ.#2
სს „საქართველოს ბანკი“
კოდი N BAGAGE22
ა/ა N GE92BG0000000607657400
ს/კ N 205286956

ზვიად ჭანაძე
დირექტორი

დანართი #1

| # | საქონლის დასახელება | ტექნიკური პირობები | რაოდენობა/ განზომილება | ერთეულის ღირებულება (ლარებში) | საერთო ღირებულება (ლარებში) | მიწოდების პირობები | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყველი (15541000) | უნდა იყოს ახალი და მაღალი ხარისხის. | 60 კგ | 7.00 | 420.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | **თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი |
| | | | 12 კგ | 7.00 | 84.00 | | **რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი** მის: რუსთავი, ფალიაშვილის ქ.#24 |
| | | | 5 კგ | 7.00 | 35.00 | | **კოჯრის ბავშვთა სახლი.** მის: დაბა კოჯორი, სტალინის ქ.#17 |
| | | | 20 კგ | 7.00 | 140.00 | | **კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი.** მის: დაბა კოჯორი, რუხაძის ქ.#10 |
| | | | 30 კგ | 7.00 | 210.00 | | **თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი.** მის:თბილისი, ქერჩის ქ.#4 |
| | | | 33 კგ | 7.00 | 231.00 | | **მარტყოფის შშმპ პანსიონატი.** მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 3 კგ | 7.00 | 21.00 | | **ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. #15 |
| | | | 20 კგ | 7.00 | 140.00 | | **ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: ქუთაისი, სოლომონ II–ის ქუჩა მე–4 ჩიხი |
| | | | 20 კგ | 7.00 | 140.00 | | **ძევრის შშმ პირთა პანსიონატი.** მის: თერჯოლის რაიონი, სოფ. ძევრი |
| | | | 7 კგ | 7.00 | 49.00 | | **ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: სამტრედიის რაიონი, სოფ. ეწერი |
| | | | 4 კგ | 7.00 | 28.00 | | **თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 3 კგ | 7.00 | 21.00 | | **თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 კგ | 7.00 | 14.00 | | ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 5 კგ | 7.00 | 35.00 | | გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |
| 2 | მაწონი (15551000) | უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების, ფერმენტირებული, ცხიმიანობა არანაკლებ 5%–ისა. უნდა იყოს ქარხნულიწესით დაფასოებული არაუმეტეს ნახევარ კილოგრამიან პლასტმასის ქილაში, ქილაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში.არ უნდა იყოს 7 კალენდარულ დღეზე ნაკლები. | 300 კგ | 3.10 | 930.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. #3 |
| | | | 250 კგ | 3.10 | 775.00 | | თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი. მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი |
| | | | 24 კგ | 3.10 | 74.40 | | რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი მის: რუსთავი, ფალიაშვილის ქ.#24 |
| | | | 10 კგ | 3.10 | 31.00 | | კოჯრის ბავშვთა სახლი. მის: დაბა კოჯორი, სტალინის ქ.#17 |
| | | | 45 კგ | 3.10 | 139.50 | | კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი. მის: დაბა კოჯორი, რუხაძის ქ.#10 |
| | | | 50 კგ | 3.10 | 155.00 | | დუშეთის შშმპ პანსიონატი. მის: დუშეთის რაიონი, სოფ. პირმისაანთკარი |
| | | | 40 კგ | 3.10 | 124.00 | | თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი. მის:თბილისი, ქერჩის ქ.#4 |
| | | | 133 კგ | 3.10 | 412.30 | | მარტყოფის შშმპ პანსიონატი. მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 120 კგ | 3.10 | 372.00 | | ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი. მის: ქუთაისი, სოლომონ II–ის ქუჩა მე–4 ჩიხი |
| | | | 72 კგ | 3.10 | 223.20 | | ძევრის შშმ პირთა პანსიონატი. მის: თერჯოლის რაიონი, სოფ. ძევრი |
| | | | 48 კგ | 3.10 | 148.80 | | სენაკის შშმ ბავშვთა სახლი. მის: სენაკი, კობახიძის ქ.#9 |
| | | | 7 კგ | 3.10 | 21.70 | | თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქინძმარაულის |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 20 კგ | 3.10 | 62.00 | | თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 3 კგ | 3.10 | 9.30 | | ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 10 კგ | 3.10 | 31.00 | | გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |
| 3 | არაჟანი (15512000) | უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების და ქარხნული წესით დაფასოებული არაუმეტეს ნახევარ კილოგრამიან პლასტმასის ქილაში, ქილაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში არ უნდა იყოს 7 კალენდარულ დღეზე ნაკლები. | 30 კგ | 4.00 | 120.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი. მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. #3 |
| | | | 24 კგ | 4.00 | 96.00 | | თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი. მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი |
| | | | 10 კგ | 4.00 | 40.00 | | რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი მის: რუსთავი, ფალიაშვილის ქ.#24 |
| | | | 10 კგ | 4.00 | 40.00 | | კოჯრის ბავშვთა სახლი. მის: დაბა კოჯორი, სტალინის ქ.#17 |
| | | | 25 კგ | 4.00 | 100.00 | | კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი. მის: დაბა კოჯორი, რუხაძის ქ.#10 |
| | | | 24 კგ | 4.00 | 96.00 | | დუშეთის შშმპ პანსიონატი. მის: დუშეთის რაიონი, სოფ. პირმისაანთკარი |
| | | | 40 კგ | 4.00 | 160.00 | | თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი. მის:თბილისი, ქერჩის ქ.#4 |
| | | | 22 კგ | 4.00 | 88.00 | | მარტყოფის შშმპ პანსიონატი. მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 2 კგ | 4.00 | 8.00 | | ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი. მის: ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. #15 |
| | | | 20 კგ | 4.00 | 80.00 | | ქუთაისის ხანდაზმულთ პანსიონატი. მის: ქუთაისი, სოლომონ II–ის ქუჩა მე–ჩიხი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 18 კგ | 4.00 | 72.00 | | **ქევრის შშმ პირთა პანსიონატი.** მის: თერჯოლის რაიონი, სოფ. ქევრი |
| | | | 4 კგ | 4.00 | 16.00 | | **ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: სამტრედიის რაიონი, სოფ. ეწერი |
| | | | 16 კგ | 4.00 | 64.00 | | **სენაკის შშმ ბავშვთა სახლი.** მის: სენაკი, კოზახიძის ქ.#9 |
| | | | 4 კგ | 4.00 | 16.00 | | **თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 2 კგ | 4.00 | 8.00 | | **თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 1 კგ | 4.00 | 4.00 | | **ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 5 კგ | 4.00 | 20.00 | | **გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |
| 4 | ხაჭო (15542100) | უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების, ცხიმიანობა არანაკლებ 5%–ისა. უნდა იყოს ქარხნული წესით დაფასოებული არაუმეტეს ნახევარ კილოგრამიან პლასტმასის ქილაში, ქილაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების | 60 კგ | 6.00 | 360.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | **თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი.** მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. #3 |
| | | | 60 კგ | 6.00 | 360.00 | | **თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი |
| | | | 10 კგ | 6.00 | 60.00 | | **რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი** მის: რუსთავი, ფალიაშვილის ქ.#24 |
| | | | 10 კგ | 6.00 | 60.00 | | **კოჯრის ბავშვთა სახლი.** მის: დაბა კოჯორი, სტალინის ქ.#17 |
| | | | 25 კგ | 6.00 | 150.00 | | **კოჯრის შშმ ბავშვთა სახლი.** მის: დაბა კოჯორი, რუხაძის ქ.#10 |
| | | | 10 კგ | 6.00 | 60.00 | | **დუშეთის შშმპ პანსიონატი.** მის: დუშეთის რაიონი, სოფ. პირმისაანთკარი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პერიოდში არ უნდა იყოს 7 კალენდარულ დღეზე ნაკლები. | 40 კგ | 6.00 | 240.00 | | **თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი.** მის:თბილისი, ქერჩის ქ.#4 |
| | | | 37 კგ | 6.00 | 222.00 | | **მარტყოფის შშმპ პანსიონატი.** მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 5 კგ | 6.00 | 30.00 | | **ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. #15 |
| | | | 25 კგ | 6.00 | 150.00 | | **ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: ქუთაისი, სოლომონ II–ის ქუჩა მე–4 ჩიხი |
| | | | 24 კგ | 6.00 | 144.00 | | **ძევრის შშმ პირთა პანსიონატი.** მის: თერჯოლის რაიონი, სოფ. ძევრი |
| | | | 5 კგ | 6.00 | 30.00 | | **ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: სამტრედიის რაიონი, სოფ. ეწერი |
| | | | 10 კგ | 6.00 | 60.00 | | **სენაკის შშმ ბავშვთა სახლი.** მის: სენაკი, კობახიძის ქ.#9 |
| | | | 4 კგ | 6.00 | 24.00 | | თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 2 კგ | 6.00 | 12.00 | | თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 2 კგ | 6.00 | 12.00 | | ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 3 კგ | 6.00 | 18.00 | | გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | რძე (15511000) | უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების, ცხიმიანობა არანაკლებ 5%–ისა. უნდა იყოს ქარხნული წესით დაფასოებული არაუმეტეს ერთ ლიტრიან ქილაში, ქილაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში არ უნდა იყოს 7 კალენდარულ დღეზე ნაკლები. | 51 ლიტრი | 2.80 | 142.80 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | **მარტყოფის შშმპ პანსიონატი.** მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| 6 | კარაქი (15530000) | უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების, ნაღების ცხიმიანობა არანაკლებ 72%–ისა. უნდა იყოს ქარხნული წესით დაფასოებული არანაკლებ 200 გრამიან შეკვრაში, შეკვრაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში არ უნდა იყოს 7 კალენდარულ დღეზე ნაკლები. | 100 კგ | 6.00 | 600.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | **თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი |
| | | | 5 კგ | 6.00 | 30.00 | | **რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი** მის: რუსთავი, ფალიაშვილის ქ.#24 |
| | | | 5 კგ | 6.00 | 30.00 | | **კოჯრის ბავშვთა სახლი.** მის: დაბა კოჯორი, სტალინის ქ.#17 |
| | | | 63 კგ | 6.00 | 378.00 | | **მარტყოფის შშმპ პანსიონატი.** მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 5 კგ | 6.00 | 30.00 | | **ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. #15 |
| | | | 5 კგ | 6.00 | 30.00 | | **ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: სამტრედიის რაიონი, სოფ. ეწერი |
| | | | 7 კგ | 6.00 | 42.00 | | **თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 2 კგ | 6.00 | 12.00 | | **თბილისის ტრეფიკინგი მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 2 კგ | 6.00 | 12.00 | | **ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 3 კგ | 6.00 | 18.00 | | **გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |
| 7 | შესქელებული რძე (15511600) | უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების, ცხიმიანობა არანაკლებ 8,5%-ისა. უნდა იყოს ქარხნული წესით დაფასოებული არანაკლებ 380 გრამიან თუნუქის ქილაში, ქილაზე მითითებული უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები. | 9 კგ | 5.27 | 47.43 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | **რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი** მის: რუსთავი, ფალიაშვილის ქ.#24 |
| | | | 5 კგ | 5.27 | 26.35 | | **მარტყოფის შშმპ პანსიონატი.** მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 1.85 კგ | 5.27 | 9.75 | | **თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 3 კგ | 5.27 | 15.81 | | **თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 1 კგ | 5.27 | 5.27 | | **ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 4 კგ | 5.27 | 21.08 | | **გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |
| 8 | რძის ფხვნილი (15511700) | უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ქარხნული დამზადების, ცხიმიანობა არანაკლებ 2,5%-ისა. უნდა იყოს ქარხნული წესით შეფუთული (დაფასოებული) შეფუთვაზე მითითებული | 50 კგ | 8.00 | 400.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, | **თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, მე 2 კვარტალი |
| | | | 62 კგ | 8.00 | 496.00 | | **მარტყოფის შშმპ პანსიონატი.** მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 15 კგ | 8.00 | 120.00 | | **ქვემო ქართლის შშმ პირთა პანსიონატი.** მის: თერჯოლის რაიონი, სოფ ძევრი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | უნდა იყოს ვარგისიანობის ვადა, რომელიც საქონლის მიწოდების პერიოდში არ უნდა იყოს ერთ თვეზე ნაკლები | 2 კგ | 8.00 | 16.00 | საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 1.5 კგ | 8.00 | 12.00 | | თბილისის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 1 კგ | 8.00 | 8.00 | | ბათუმის ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 2 კგ | 8.00 | 16.00 | | გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |
| 9 | სოსისი (15131130) | ახალი, რძიანი, სათითაოდ შეფუთული პოლიეთილენის თხელ პარკებში, მოსახარში. თოთოეულ მინოდებულ პარტიას უნდა ახლდეს ცნობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურიდან) მისი ვარგისიანობის შესახებ ან ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი. საქონლის მინოდებისას დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები | 50 კგ | 7.00 | 350.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი. მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი |
| | | | 10 კგ | 7.00 | 70.00 | | რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი მის: რუსთავი, ფალიაშვილის ქ.#24 |
| | | | 15 კგ | 7.00 | 105.00 | | კოჯრის ბავშვთა სახლი. მის: დაბა კოჯორი, სტალინის ქ.#17 |
| | | | 40 კგ | 7.00 | 280.00 | | დუშეთის შშმპ პანსიონატი. მის: დუშეთის რაიონი, სოფ. პირმისაანთკარი |
| | | | 40 კგ | 7.00 | 280.00 | | თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი. მის:თბილისი, ქერჩის ქ.#4 |
| | | | 37 კგ | 7.00 | 259.00 | | მარტყოფის შშმპ პანსიონატი. მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 5 კგ | 7.00 | 35.00 | | ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი. მის: ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. #15 |
| | | | 20 კგ | 7.00 | 140.00 | | ქუთაისის ხანდაზმულთ პანსიონატი. მის: ქუთაისი, სოლომონ II–ის ქუჩა მე–ჩიხი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 30 კგ | 7.00 | 210.00 | | **ქევრის შშმ პირთა პანსიონატი.** მის: თერჯოლის რაიონი, სოფ. ქევრი |
| | | | 5 კგ | 7.00 | 35.00 | | **ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: სამტრედიის რაიონი, სოფ. ეწერი |
| | | | 7 კგ | 7.00 | 49.00 | | **თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 2 კგ | 7.00 | 14.00 | | **ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 7 კგ | 7.00 | 49.00 | | **გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |
| 10 | საქონლის ხორცი (15111100) | ხორცი საქონლის, ახალი (გაუყინავი), (ყოველ მიწოდებულ პარტიაზე ძვალი არაუმეტეს 20%) თითოეულ მიწოდებულ პარტიას უნდა ახლდეს ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურიდან მისი ვარგისიანობის შესახებ. საქონლის მიწოდებისას დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები. | 160 კგ | 11.50 | 1840.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | **თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი |
| | | | 25 კგ | 11.50 | 287.50 | | **რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი** მის: რუსთავი, ფალიაშვილის ქ.#24 |
| | | | 10 კგ | 11.50 | 115.00 | | **კოჯრის ბავშვთა სახლი.** მის: დაბა კოჯორი, სტალინის ქ.#17 |
| | | | 40 კგ | 11.50 | 460.00 | | **დუშეთის შშმპ პანსიონატი.** მის: დუშეთის რაიონი, სოფ. პირმისაანთკარი |
| | | | 48 კგ | 11.50 | 552.00 | | **თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი.** მის:თბილისი, ქერჩის ქ.#4 |
| | | | 57 კგ | 11.50 | 655.50 | | **მარტყოფის შშმპ პანსიონატი.** მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 15 კგ | 11.50 | 172.50 | | **ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. #15 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 35 კგ | 11.50 | 402.50 | | **ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: ქუთაისი, სოლომონ II–ის ქუჩა მე–4 ჩიხი |
| | | | 78 კგ | 11.50 | 897.00 | | **ძევრის შშმ პირთა პანსიონატი.** მის: თერჯოლის რაიონი, სოფ. ძევრი |
| | | | 25 კგ | 11.50 | 287.50 | | **ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: სამტრედიის რაიონი, სოფ. ეწერი |
| | | | 8 კგ | 11.50 | 92.00 | | **თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 4 კგ | 11.50 | 46.00 | | **ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 10 კგ | 11.50 | 115.00 | | **გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |
| 11 | ქათმის ხორცი (15112100) | ქათამი ახალი (მთლიანი ქათამი) გასუფთავებული გამოშიგნული, ქათამს თან უნდა ახლდეს შიგნეულობა (ღვიძლი, კუჭი). მთლიანი წონა არანაკლებ 1,2 კგ. თოთოეულ მიწოდებულ პარტიას უნდა ახლდეს ცნობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურიდან) მისივარგისიანობის შესახებ ან ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი. საქონლის მიწოდებისას დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები. | 150 კგ | 7.00 | 1050.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | **თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: თბილისი, თემქის დასახლება, მე–11 მ/რ, მე–2 კვარტალი |
| | | | 35 კგ | 7.00 | 245.00 | | **რუსთავის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი** მის: რუსთავი, ფალიაშვილის ქ.#24 |
| | | | 10 კგ | 7.00 | 70.00 | | **კოჯრის ბავშვთა სახლი.** მის: დაბა კოჯორი, სტალინის ქ.#17 |
| | | | 30 კგ | 7.00 | 210.00 | | **დუშეთის შშმპ პანსიონატი.** მის: დუშეთის რაიონი, სოფ. პირმისაანთკარი |
| | | | 48 კგ | 7.00 | 336.00 | | **თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი.** მის:თბილისი, ქერჩის ქ.#4 |
| | | | 63 კგ | 7.00 | 441.00 | | **მარტყოფის შშმპ პანსიონატი.** მის: გარდაბნის რ/ნი, სოფ მარტყოფი. |
| | | | 10 კგ | 7.00 | 70.00 | | **ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: ახმეტა, ჭავჭავაძის ქ. #15 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 25 კგ | 7.00 | 175.00 | ეტაპობრივად, კალენდარულ კვირაში ერთხელ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დღის 10 საათიდან 18 საათამდე. | **ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი.** მის: ქუთაისი, სოლომონ II–ის ქუჩა მე–4 ჩიხი |
| | | | 40 კგ | 7.00 | 280.00 | | **ქვერის შშმ პირთა პანსიონატი.** მის: თერჯოლის რაიონი, სოფ. ქვერი |
| | | | 15 კგ | 7.00 | 105.00 | | **ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი.** მის: სამტრედიის რაიონი, სოფ. ეწერი |
| | | | 8 კგ | 7.00 | 56.00 | | **თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქინძმარაულის პირველი შესახვევი N 1 |
| | | | 4 კგ | 7.00 | 28.00 | | **ბათუმის ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. ბათუმი, ხახულის ქ. N 2 |
| | | | 8 კგ | 7.00 | 56.00 | | **გორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი** მის. ქ. გორი, გოგებაშვილის ქ. N 40 |

„შემსყიდველი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”

მარინა მესხი
დირექტორი

`მიმწოდებელი~
შპს „მაკალე“

ზვიად კაპანაძე
დირექტორი